

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

“საქართველოს კანონის “საქართველოს საამშენებლო კოდექსი” პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დონისძიების თაობაზე” საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 1 მარტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. “საქართველოს კანონის “საქართველოს საამშენებლო კოდექსი” პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დონისძიების თაობაზე” საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 1 მარტის №2689-IX დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საქართველოს მთავრობამ საქართველოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებთან ერთად 2007 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს “საქართველოს კანონის “საქართველოს საამშენებლო კოდექსი” პროექტი.”

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2007 წელი